



პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური სერვისების კოლაბორაცია დაავადებათა პრევენციისთვის

ლატარია ლიკა

ექიმი სტომატოლოგი, საქართველოს უნივერსიტეტი

რეზიუმე

პირის ღრუს ჯანმრთელობა ზოგადი ჯანმრთელობის განუყოფელი კომპონენტია, თუმცა სტომატოლოგიური დაავადებები დღემდე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პირის ღრუს დაავადებების მაღალი გავრცელება და მათი კავშირი სხვადასხვა სისტემურ პათოლოგიასთან, ხაზს უსვამს ინტეგრირებული ჯანდაცვის მოდელების მნიშვნელობას. აღნიშნულ კონტექსტში, პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების კოლაბორაციული მოდელების შეფასება განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, რადგან მათი ეფექტიანი თანამშრომლობა ხელს უწყობს დაავადებების პრევენციას, ადრეულ დიაგნოსტიკასა და ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესებას.

წინამდებარე ლიტერატურული მიმოხილვის მიზანია, პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება და იმ ძირითადი ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის მათ ინტეგრაციის პროცესს. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები და თანამედროვე საერთაშორისო კვლევები, რომლებიც ადასტურებს პირის ღრუსა და ზოგადი ჯანმრთელობის მჭიდრო ურთიერთკავშირს.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, პირის ღრუს ჯანმრთელობა, სტომატოლოგიური მომსახურება, პრევენცია, ინტერპროფესიული თანამშრომლობა.

შესავალი

პირის ღრუს ჯანმრთელობა ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით პირის ღრუს ჯანმრთელობა ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების განუყოფელი

კომპონენტია. ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, პირის ღრუს არაგადამდები დაავადებები 3.5 მილიარდ ადამიანს აღენიშნება, რაც თავის მხრივ, მოსახლეობის საკმაოდ დიდ რიცხვზე მიუთითებს და შესაბამისად, პირის ღრუს არაგადამდები დაავადებები ერთერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებებად ითვლება. „ადამიანზე ორიენტირებული ინტეგრირებული ჯანდაცვის სერვისები“ (Integrated People-Centered Health Services) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, წარმოადგენს ზოგადი ჯანმრთელობის ხელშეწყობის უნივერსალურ საფუძველს. პირველადი ჯანდაცვის სერვისები მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ხელმისაწვდომია, თუმცა მიუხედავად ამისა, პაციენტისთვის მათი კომპლექსური მიწოდება მაინც პრობლემურ საკითხად რჩება.

არსებული სამეცნიერო მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პირის ღრუს დაავადებები წარმოადგენს, არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ სისტემურ ჯანმრთელობის პრობლემას. მათი გავლენა ხშირად სცილდება პირის ღრუს ფარგლებს და ასოცირებულია სხვადასხვა ორგანოთა სისტემის, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემების ფუნქციურ დარღვევებთან. გარდა ამისა, პირის ღრუს დაავადებები უარყოფითად მოქმედებს ინდივიდის სოციალურ აქტივობაზე, კომუნიკაციაზე და ცხოვრების ხარისხზე. არანამკურნალები სტომატოლოგიური დაავადებები იწვევს სხვადასხვა ტიპის ანთებით რეაქციებს და ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. შედეგად კი ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკი იზრდება, რაც თავის მხრივ შემდგომში დაკავშირებულია ჯანდაცვის სისტემის ეკონომიკური ტვირთის ზრდასთან. (Primary Care Collaborative, 2021).

ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მტკიცებულებები, რომლებიც გვაჩვენებს, რომ პირველადი ჯანდაცვის და სტომატოლოგიურ სფეროში მომუშავე პროფესიონალების ერთობლივი მუშაობა მნიშვნელოვანია ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის (Bradley, C.,2023).

ფრაგმენტული სამედიცინო მომსახურების მიღება, წარმოადგენს თანამედროვე ჯანდაცვის სისტემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, როდესაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები კონკრეტული დაავადებების მკურნალობით შემოიფარგლებიან. აღსანიშნავია, რომ პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლები, ოჯახის ექიმები, არიან სწორედ ის პირველი რგოლი რომელთანაც უმეტესად პაციენტებს პირველად აქვთ შეხება და სწორედ, მათ აკისრიათ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე. მიუხედავად ამისა, პირის ღრუს ჯანმრთელობის ხელშეწყობა მათი მხრიდან ნაკლებადაა დანერგილი პრაქტიკაში.

აღსანიშნავია, რომ პირის ღრუს არაგადამდები დაავადებებიდან, კარიესი ერთერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სტომატოლოგიურ დაავადებად ითვლება, რომელიც პროგრესირებადია და მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში იწვევს სხვადასხვა

გართულებებს, რომელმაც პაციენტი შეიძლება მიიყვანოს კბილების დანაკარგამდე. მიუხედავად ამისა, ის ერთ-ერთ იმ დაავადებათა შორისაა, რომელთა პრევენციაც სავსებით რეალურია. ამ დაავადების პრევენციით კი მინიმუმამდე დავიყვანთ სხვადასხვა ტიპის გართულებების განვითარების რისკს, როგორებიცაა მაგალითად კბილების დაკარგვა, რაც თავის მხრივ იწვევს ოკლუზიურ ცვლილებებს, ლექვითი ფუნქციის და ესთეტიკური მონაცემების გაუარესებას და სხვადასხვა ტიპის ქრონიკული დაავადებების პროვოცირებას, შედეგად კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ტვირთის მნიშვნელოვნად გაზრდას.

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, კარიესი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებას მსოფლიოში და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებშიც კი მოზარდთა 60-90%-ს აღენიშნებათ. პირის ღრუს დაავადებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ინდივიდის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, ასევე მის შრომისუნარიანობასა და სოციალურ აქტივობაზე. შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელი პირის ღრუს ჯანმრთელობა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენს, არა მხოლოდ ცალკეული პირებისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. (World Health Organization.2022)

Richard G. Watt-ისა და თანაავტორების მიხედვით, Healthy People 2030 წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამას, რომლის საფუძველიც 1979 წელს ჩაეყარა, როდესაც აშშ-ის მთავარმა ქირურგმა, ჯულიუს რიჩმონდმა (Julius Richmond), გამოაქვეყნა ანგარიში „Healthy People: The Surgeon General’s Report on Health Promotion and Disease Prevention“. პროგრამის ძირითადი მიზანია დაავადებების პრევენცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და კეთილდღეობის ხელშეწყობა, რაც ხორციელდება ყოველ ათწლეულში განახლებული ეროვნული ჯანმრთელობის მიზნების განსაზღვრის გზით. Healthy People 2030 განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციაზე, მათ შორის პირის ღრუს ჯანმრთელობის მომსახურების ჩართვაზე პირველადი ჯანდაცვის სისტემაში (Watt et al., 2023).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) 2022–2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტების მიხედვით, პირის ღრუს ჯანმრთელობის სერვისებისა და პირველადი ჯანდაცვის ინტეგრაცია წარმოადგენს სტომატოლოგიური დაავადებების ტვირთის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში დასახულია მიზანი, რომ 2030 წლისთვის ქვეყნების სულ მცირე 80%-ში სტომატოლოგიური მომსახურება ინტეგრირებული იყოს პირველადი ჯანდაცვის სისტემაში (WHO, 2022). ამავე მიმართულებას იზიარებენ Primary Care Collaborative და WHO-ის „Global Oral Health Action Plan 2023–2030“, რომლებიც ხაზს უსვამენ ოჯახის ექიმებსა და სტომატოლოგებს შორის ინტერდისციპლინური თანამშრომლობის

მნიშვნელობას დაავადებების პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში.

Romano, M. J -ს (2023) მიხედვით, თანამედროვე ჯანდაცვა უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებს. ავტორი მაგალითად განიხილავს ფტორის ლაქების გამოყენებას, რომელიც 2014 წლიდან აშშ-ის პრევენციული სერვისების სამუშაო ჯგუფის (USPSTF) მიერ რეკომენდებულ პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინტერვენცია პირველადი ჯანდაცვის კლინიკების მხოლოდ მცირე ნაწილში გამოიყენება. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური სერვისების ეფექტიანი თანამშრომლობის გზაზე არსებული ბარიერების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

Di Fu-სა და Xingyue Shu-ს (2025) კვლევის მიხედვით, პაროდონტიტსა და სისტემურ დაავადებებს შორის მჭიდრო ორმხრივი კავშირი არსებობს. კერძოდ, პაროდონტიტის მქონე პაციენტებში გართულებულია გლიკემიური კონტროლის მიღწევა, ხოლო პაროდონტიტის ანთებითი პროცესები ასოცირებულია ინსულტის განვითარების მომატებულ რისკთან. მრავალი ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევის მიხედვით, პაროდონტიტი მნიშვნელოვან ასოციაციას ავლენს კარდიოვასკულურ დაავადებებთან, რაც ხაზს უსვამს სამედიცინო და სტომატოლოგიური სერვისების ინტეგრირებული თანამშრომლობის აუცილებლობას დაავადებების პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკისა და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. ავტორები, ასევე განიხილავენ პაროდონტიტსა და სიმსუქნეს შორის არსებულ ურთიერთკავშირს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პირის ღრუს ჯანმრთელობისა და ზოგადი ჯანმრთელობის განუყოფელ კავშირს (Sanz et al., 2020).

პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ფუნდამენტურ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს დაავადებების პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. შესაბამისად, პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური სერვისების ინტეგრაცია და თანამშრომლობა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის პირის ღრუს დაავადებების ადრეული გამოვლენის, ეფექტიანი პრევენციისა და დროული მართვისთვის.

Bradley Christian და Ajesh George ის მიხედვით (2023) პირველადი ჯანდაცვა განისაზღვრება როგორც მთელი საზოგადოების მასშტაბით ჯანმრთელობისადმი მიდგომა, რომლის მიზანია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დონისა და მათი თანაბარი განაწილების მაქსიმიზაცია.

სტომატოლოგიური სერვისებისა და პირველადი ჯანდაცვის სისტემის ინტეგრირებული თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მათი მდგრადი განვითარებისა და ხარისხიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული თანამშრომლობის შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით, მათ შორის სამედიცინო პერსონალისა და ჯანდაცვის მუშაკების გადამზადების ხარისხის, ჩატარებული სკრინინგების რაოდენობის, პაციენტთა რეფერირების მაჩვენებლების, მკურნალობის დროულობისა და პირის ღრუს დაავადებების გავრცელების დინამიკის მიხედვით. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურებების ეფექტიანი ინტეგრაცია, პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, ხელს უწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას პირის ღრუს ჯანმრთელობის საკითხებზე, აუმჯობესებს პირის ღრუს ჰიგიენურ ქცევებს და, საბოლოოდ, ამცირებს სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელებას. შესაბამისად, ინტერდისციპლინური თანამშრომლობა განიხილება პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად (Watt et al., 2019).

2025 წელს ნიგერიაში განხორციელდა კვლევა, რომელსაც მხარს უჭერდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO). კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექთნებისა და პირველადი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებისთვის პირის ღრუს დაავადებების პრევენციის მიმართულებით ჩატარებული გადამზადების პროგრამის ეფექტიანობის შეფასება. კერძოდ, შესწავლილ იქნა, თუ რამდენად შეძლეს მონაწილეებმა მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში ინტეგრირება, რა ბარიერები და ხელშემწყობი ფაქტორები არსებობდა პროგრამის განხორციელების პროცესში და როგორ აფასებდნენ პაციენტები მიწოდებულ მომსახურებას (Oladayo et al., 2025).

კვლევაში მონაწილეობდა 34 პირი, მათ შორის ექთნები და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლები. დამატებით გამოიკითხნენ პაციენტებიც, რათა შეფასებულიყო მათი გამოცდილება და კმაყოფილების დონე. მონაცემების შეგროვება განხორციელდა სტრუქტურირებული გამოკითხვების, პაციენტთა უკუკავშირის ფორმებისა და სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდათ ცოდნა და პრაქტიკული უნარები პირის ღრუს დაავადებების პრევენციისა და მართვის მიმართულებით. მათ შეძლეს მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენება ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში. ამასთანავე, გამოვლინდა გარკვეული ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მატერიალური და ადამიანური რესურსების სიმწირე.

კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ პირველადი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების გადამზადება პირის ღრუს ჯანმრთელობის საკითხებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს

სტომატოლოგიური დაავადებების ადრეულ პრევენციასა და მართვაში. მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს შორსწასული სტომატოლოგიური პათოლოგიების შემცირებას და ქმნის მყარ საფუძველს მოსახლეობის ზოგადი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის (Frontiers in Oral Health, (2025)).

ინტეგრირებული მოდელის შეფასებისას, მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სტომატოლოგიურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა და პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გამოიხატება ტკივილის დროული კუპირებით, სადექი აპარატის ფუნქციის აღდგენით, ფსიქო-სოციალური კეთილდღეობით.

პირველადი ჯანდაცვა, სწორედ, რომ უზრუნველყოფს ადამიანის ზოგად ჯანმრთელობას მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუმცა, კვლევები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ამისა, ოჯახის ექიმები ნაკლებად ამისამართებენ პაციენტებს სტომატოლოგიებთან. პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების ურთიერთკავშირის შესწავლა, მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა, იმ ბარიერებისა და ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც აფერხებს ოჯახის ექიმების მიერ, პაციენტების სტომატოლოგიებთან დროულ გადამისამართებას. აღნიშნული საკითხის კვლევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის ღრუს დაავადებების ადრეული გამოვლენისა და პრევენციის გაუმჯობესების მიზნით.

Romano-ს (2023) სტატიის „Why Are Family Doctors Still Not Addressing Oral Health?“ მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით 112 მილიონი ადამიანი მიმართავს ოჯახის ექიმს, თუმცა, არ სარგებლობს სტომატოლოგიური მომსახურებით. ავტორის შეფასებით, აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ოჯახის ექიმების არასაკმარისი ცოდნა პირის ღრუს ჯანმრთელობის საკითხებში, ასევე სამედიცინო განათლებისა და რეზიდენტურის პროგრამებში სტომატოლოგიური განათლებისთვის დათმობილი შეზღუდული სასწავლო დრო.

ამავე სტატიაში განხილული კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ პაროდონტიტის ეფექტიანი მკურნალობა სხვადასხვა პოპულაციაში ასოცირდება ქრონიკული დაავადებების გართულებების სიხშირის შემცირებასთან. კერძოდ, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, პაროდონტული მკურნალობის შედეგად ქრონიკული დაავადებების გართულებების რისკი დაახლოებით 40%-ით შემცირდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პირის ღრუს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გავლენას ზოგად ჯანმრთელობაზე და ხაზს უსვამს, პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური სერვისების ინტეგრირებული თანამშრომლობის აუცილებლობას.

Douglas და თანაავტორების (2007) სტატიის მიხედვით, სტომატოლოგიებისა და პირველადი ჯანდაცვის ეფექტური ინტეგრაციის წინაპირობაა ოჯახის ექიმების, როგორც დიპლომანდელი, ისე დიპლომისშემდგომი განათლების სისტემაში სტომატოლოგიური საგნების სწავლების ჩართვა. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია,

რადგან თანამედროვე სასწავლო პროგრამებში, რომელსაც ბაკალავრიატის მედიცინის სტუდენტები სწავლობენ, არ არის შეტანილი პირის ღრუს დავადებები, მათი ეტიოლოგია და სიმპტომები. საბაზისო სტომატოლოგიის ცოდნა კი ოჯახის ექიმებს დაეხმარებათ პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაში.

Cardenas და თანაავტორებმა (2023) აღწერეს Teaming and Integrating for Smiles and Health (TISH) პროგრამა, რომლის მიზანი იყო პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების ინტეგრაციის შეფასება და პრაქტიკული მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ჯანდაცვის პროფესიონალს შორის ეფექტიან კოლაბორაციას. პროგრამა ეფუძნებოდა ინტერპროფესიულ თანამშრომლობას და მიზნად ისახავდა, პირის ღრუსა და ზოგადი ჯანმრთელობის სერვისების კოორდინირებული მიწოდების ხელშეწყობას.

პროგრამის ფარგლებში სამიზნე ჯგუფებად შეირჩნენ გინგივიტისა და ჰიპერტენზიის მქონე ან რისკის ქვეშ მყოფი პაციენტები. აღნიშნული მდგომარეობების შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ორივე დაავადების სკრინინგი შედარებით მარტივად ხორციელდება და ისინი ფართოდ გავრცელებულ ჯანმრთელობის პრობლემებს წარმოადგენს. ავტორები აღნიშნავენ, რომ გინგივიტი მკურნალობის გარეშე შესაძლოა პროგრესირდეს პაროდონტიტამდე, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სისტემური დაავადების განვითარების გაზრდილ რისკთან. ამასთანავე, ჰიპერტენზიის სკრინინგი სტომატოლოგიურ პრაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სტომატოლოგიური ჩარევების წინ მაღალი არტერიული წნევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია პაციენტის დროული გადამისამართება ოჯახის ექიმთან ან სხვა, შესაბამის სპეციალისტთან.

Cardenas და თანაავტორებმა (2023) შეიმუშავეს ინტეგრაციის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც მოიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს: კლინიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერას, ინტერპროფესიული ტრენინგების ორგანიზებას, სტანდარტიზებული სკრინინგის სისტემების დანერგვას, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ინტეგრაციასა და პაციენტთა გადამისამართების ეფექტიანი მექანიზმების განვითარებას.

კვლევაში მონაწილეობდნენ 18 წელზე უფროსი ასაკის პაციენტები, რომლებიც გეგმიური სამედიცინო ან სტომატოლოგიური ვიზიტით მიმართავდნენ კლინიკებს. მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოყენებული იყო კითხვარები როგორც ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის, ასევე პაციენტებისთვის. დამატებით აღირიცხებოდა ჩატარებული სამედიცინო და სტომატოლოგიური სკრინინგების რაოდენობა, გამოვლენილი ჰიპერტენზიისა და გინგივიტის შემთხვევები და შესაბამის სპეციალისტებთან განხორციელებული გადამისამართებები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართულმა გუნდებმა მნიშვნელოვნად გაიღრმავეს ცოდნა პირის ღრუს ჯანმრთელობისა და ზოგადი ჯანმრთელობის ურთიერთკავშირის შესახებ. ავტორთა შეფასებით, TISH პროგრამა წარმოადგენდა პირველ წარმატებულ მცდელობას, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სასწავლო-კოლაბორაციული მოდელი სტომატოლოგებსა და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, კვლევამ გამოავლინა გარკვეული გამოწვევებიც, მათ შორის ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემების არასაკმარისი ინტეგრაცია და ფინანსური ბარიერები. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად, ავტორებმა რეკომენდაციის სახით წარმოადგინეს ინტერპროფესიული განათლებისა და ტრენინგების გაფართოება, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემების გაუმჯობესება და სკრინინგისა და გადამისამართების პროცესების სტანდარტიზაცია.

პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური ბარიერების შეფასებას. სტომატოლოგიური მომსახურება ხშირად დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან, რაც მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი და დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის, წარმოადგენს სერვისებზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს. სტომატოლოგიური მასალების, ტექნოლოგიებისა და მკურნალობის მაღალი ღირებულება ზრდის როგორც პაციენტების, ისე ჯანდაცვის სისტემის ფინანსურ დატვირთვას (Listl, et al, 2015).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობა განვითარებულ ქვეყნებში, ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე ძვირადღირებულ ინტერვენციებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს. ამასთანავე, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე მრავალ ქვეყანაში ბავშვთა კარიესის მკურნალობაზე გაწეული ხარჯები, ხშირად აღემატება ბავშვთა ჯანმრთელობის სხვა მიმართულებებზე გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს. აღნიშნული გარემოებები, ხაზს უსვამს პირის ღრუს დაავადებების პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრირებული სტომატოლოგიური მომსახურების განვითარების აუცილებლობას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად შეამცირებს, როგორც დაავადებათა ტვირთს, ისე მათთან დაკავშირებულ ეკონომიკურ დანახარჯებს.

დასკვნა

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ პრევენციული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა დაავადებების განვითარებას, თუმცა მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა ბარიერები, როგორებიცაა, ოჯახის ექიმების არასაკმარისი განათლება პირის ღრუს დაავადებების შესახებ (Romano J, Silk H. 2023), ინტერპროფესიული კომუნიკაციის

ნაკლებობა, ელექტრონული სამედიცინო ჟურნალების ინტეგრაცია, ფინანსური შეზღუდვები (Cardenas K. et al. 2023), რომლებიც ხელს უშლის პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური სერვისების ეფექტურ კოლაბორაციას. ამ ბარიერების და პრობლემების იდენტიფიცირება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პირველადი ჯანდაცვის მუშაობის პროცესს და ასევე, შესაძლებლობას მისცემს სტომატოლოგებს ადრეულ ეტაპებზე გამოავლინონ სხვადასხვა ქრონიკული ხასიათის მქონე ზოგადი დაავადებები.

პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების ინტეგრაცია წარმოადგენს პერსპექტიულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, როგორც პირის ღრუს დაავადებების, ისე არაგადამდები ქრონიკული დაავადებების პრევენციისა და მართვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველადი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიური მომსახურების ინტეგრაციის საკითხებზე ჩატარებული კვლევები მწირია. აღნიშნული გარემოება, მიუთითებს ამ მიმართულებით დამატებითი სამეცნიერო კვლევების აუცილებლობაზე, რათა შეფასდეს არსებული პრაქტიკა, გამოვლინდეს ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები და შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bradley, C. (2023). Strategies to integrate oral health into primary care: A systematic review. *BMC Oral Health*. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/37407034/>
2. Cardenas, V., Braun, P. A., Hummel, J., Glassman, P., Phillips, K., & Ramos-Gomez, F. (2023). Teaming and Integrating for Smiles and Health (TISH): A learning collaborative to advance oral health integration in primary care and dental settings. *Journal of Clinical and Translational Science*, 7(1), e245. <https://doi.org/10.1017/cts.2023.676>
3. Cardenas, K., Weilnau, T., & Aguilar, C. (2023). Partnering for integrated care: A learning collaborative for primary care and oral health teams. *Annals of Family Medicine*, 21(Suppl. 2), S22–S27. https://www.annfammed.org/content/21/Suppl_2/S22
4. Douglass, A. B., Gonsalves, W., Maier, R., Silk, H., Stevens, N., Tysinger, J., & Wrightson, A. S. (2007). Smiles for Life: A national oral health curriculum for family medicine: A model for curriculum development by STFM groups. *Family Medicine*, 39(2), 88–90.
5. Frontiers in Oral Health. (2025). Training primary healthcare workers in oral health promotion and disease prevention: Experiences from Nigeria. Frontiers Media SA.
6. Fu, D., & Shu, X. (2025). Bidirectional relationships between periodontitis and systemic diseases: Implications for integrated healthcare. *Frontiers in Oral Health*, 6, Article 1546248.

7. Fu, D., & Shu, X. (2020). Connection between oral health and chronic diseases.
8. Healthy People 2030. (n.d.). Healthy People 2030 framework. U.S. Department of Health and Human Services. <https://odphp.health.gov/healthypeople/about/healthy-people-2030-framework>
9. Listl, S., Galloway, J., Mossey, P. A., & Marcenes, W. (2015). Global economic impact of dental diseases. *Journal of Dental Research*, 94(10), 1355–1361. <https://doi.org/10.1177/0022034515602879>
10. National Academies of Sciences, Engineering, and Medicine. (2019). *Integrating oral and general health through health literacy practices: Proceedings of a workshop*. National Academies Press. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK544956/>
11. Oladayo, A. M., Lawal, F. B., Sofola, O. O., Uti, O. G., Oyapero, A., Aborisade, A., Olujitan, M., Fagbule, O. F., Williams, A. T., Dedeke, A., Idiga, E., Abdul-Kabir Adegoke, Y.-I., Adeniji Oluwagbenga, I., Mele, A. B., Baffa, A. S., Adetula, I., Musa, K. S., Stewart, B., Daep, C. A., Hines, D., Beard, J., Lawal, T. A., & Butali, A. (2025). Integrating oral health into primary healthcare: Lessons from Project OHE-NCHeW (Oral Health Education for Nurses and Community Health Workers) in Nigeria. *Frontiers in Oral Health*, 6, Article 1597243. <https://doi.org/10.3389/froh.2025.1597243>
12. Primary Care Collaborative. (2024). *Innovations in oral health and primary care integration: Alignment with the shared principles of primary care*. https://thebcc.org/wp-content/uploads/2024/11/PCC_Oral_Health_Primary_Care_Integration.pdf
13. Romano, M. J. (2023). Integration of oral health and primary care: Bridging the evidence-to-practice gap. *Journal of Primary Care & Community Health*, 14, 1–8.
14. Sanz, M., Marco Del Castillo, A., Jepsen, S., Gonzalez-Juanatey, J. R., D’Aiuto, F., Bouchard, P., Chapple, I., Dietrich, T., Gotsman, I., Graziani, F., Herrera, D., Loos, B. G., Nibali, L., Sculean, A., Tonetti, M. S., & Van Winkelhoff, A. J. (2020). Periodontitis and cardiovascular diseases: Consensus report. *Journal of Clinical Periodontology*, 47(3), 268–288. <https://doi.org/10.1111/jcpe.13289>
15. Watt, R. G., Daly, B., Allison, P., Macpherson, L. M. D., Venturelli, R., Listl, S., Weyant, R. J., Mathur, M. R., Guarnizo-Herreño, C. C., Celeste, R. K., Peres, M. A., Kearns, C., Benzan, H., & Glick, M. (2023). Ending the neglect of global oral health: Time for radical action. *The Lancet*, 401(10383), 1229–1231.
16. World Health Organization. (2022). *Global oral health status report: Towards universal health coverage for oral health by 2030*. World Health Organization. <https://www.who.int/publications/i/item/9789240061484>
17. World Health Organization. (2023). *Draft global oral health action plan (2023–2030)*. World Health Organization. <https://cdn.who.int/media/docs/default-source/ncds/mnd/oral-health/eb152-draft-global-oral-health-action-plan-2023-2030-en.pdf>

18. World Health Organization. (2023). *Global oral health action plan 2023–2030*. World Health Organization.
19. National Center for Disease Control and Public Health of Georgia. (n.d.). პირის ღრუს დაავადებები. <https://test.ncdc.ge/pages/user/LetterContent.aspx?ID=5d698323-54c5-4527-923c-f41120002e28>
20. Rural Health Information Hub. (n.d.). Oral health-primary care integration and collaboration model. <https://www.ruralhealthinfo.org/toolkits/oral-health/2/primary-care-integration-model>

Collaboration Between Primary Healthcare and Dental Services for Disease Prevention

Lika Lataria

Abstract

Oral health is an integral component of overall health; however, oral diseases continue to represent a significant public health challenge worldwide. The high prevalence of oral diseases and their association with various systemic conditions emphasize the importance of integrated healthcare models. In this context, evaluating collaborative models between primary healthcare and dental services has become increasingly important, as effective interdisciplinary collaboration contributes to disease prevention, early diagnosis, and improved health outcomes.

The aim of this literature review is to evaluate the effectiveness of collaboration between primary healthcare and dental services and to identify the main barriers that hinder their integration. The review discusses the recommendations of the World Health Organization (WHO) and recent international studies that demonstrate the close relationship between oral health and general health. The findings indicate that integrated care models strengthen interprofessional collaboration, improve access to preventive services, facilitate the early detection of oral diseases, and enhance the quality of healthcare delivery. At the same time, several barriers remain, including insufficient education of primary healthcare professionals in oral health, limited interdisciplinary communication, financial constraints, and inadequate integration of electronic health record systems. Addressing these barriers is essential for improving collaboration between primary healthcare and dental professionals and for reducing the burden of oral diseases through effective prevention and timely intervention.

Keywords: Primary health care; Oral health; Dental services; Disease prevention; Interprofessional collaboration.